ყოვლადმოწყალე და უზენაესმა ალლაჰმა თქვა: "ჭეშმარიტად, მე მოვუმზადე ჩემს მართალ მონებს ის, რაც არ უნახავს არცერთ თვალს, არ გაუგონია არცერთ ყურს და რასაც ვერცერთი ადამიანი ვერ წარმოიდგენს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასაგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყოვლადმოწყალე და უზენაესმა ალლაჰმა თქვა: "ჭეშმარიტად, მე მოვუმზადე ჩემს მართალ მონებს ის, რაც არ უნახავს არცერთ თვალს, არ გაუგონია არცერთ ყურს და რასაც ვერცერთი ადამიანი ვერ წარმოიდგენს".» აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: თუ გსურთ, წაიკითხეთ ეს აიათი: «და არცერთმა სულიერმა არ იცის, რა სიამეენია დაფარული მათ თვალთაგან იმის საზღაურად, რასაც აკეთებდნენ». (ას-საჯდა, 32:17)

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ დალოცვილმა და უზენაესმა ალლაჰმა თქვა: "მე მოვამზადე და გავამზადე ჩემი მართალი მონებისათვის სამოთხეში პატივსაცემად, ის რაც არცერთ თვალს არ უხილავს, არცერთ ყურს არ სმენია მისი აღწერა, და ადამიანის არცერთ გულს არ გასჩენია აზრად მისი არსი". აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: წაიკითხეთ, თუ გსურთ: «და არცერთმა სულიერმა არ იცის, რა სიამეენია დაფარული მათ თვალთაგან იმის საზღაურად, რასაც აკეთებდნენ» [ას-საჯდა: 17]

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/10404